



სტრასბურგი, 14 ოქტომბერი 2014

CDL-AD(2014)032

დასკვნა # 774/2014

ევროპული კომისია სამართლის მეშვეობით დემოკრატიისთვის
(ვენეციის კომისია)

**ვენეციის კომისიისა
და
ევროპის საბჭოს ადამიანის
უფლებათა და კანონის უზენაესობის
გენერალური დირექტორატის (DHR)
ადამიანის უფლებათა დირექტორატის (DGI)**

ერთობლივი დასკვნა

**„საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა
დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური
სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონში
ცვლილებათა კანონპროექტზე**

**მიღებულია ვენეციის კომისიის
მე-100 პლენარულ სხდომაზე
(რომი, 10-11 ოქტომბერი, 2014 წ.)**

**სლავიცა ბანიჩის (ექსპერტი, ყოფილი სათადარიგო წევრი, ხორვატია)
ჯოჰან ჰირშფელდის (სათადარიგო წევრი, შვედეთი)
გრეგორ ბორკოვსკის (DHR-ის ექსპერტი, პოლონეთი)**

კომენტარების საფუძველზე

შინაარსი

I. შესავალი.....	3
II. წინასიტყვაობა.....	4
III. სტანდარტები.....	5
IV. ზოგადი შენიშვნები.....	6
V. მუხლობრივი ანალიზი	9
A. დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების უფლებამოსილება.....	9
B. დისციპლინური სამართალწარმოების კონფიდენციალურობა	11
C. დისციპლინური სამართალწარმოების საფუძვლები	11
D. მტკიცების სტანდარტები დისციპლინური სამართალწარმოების დროს.....	13
E. კერძო სარეკომენდაციო ბარათი.....	14
F. საჩივრის ავტორის სტატუსი დისციპლინური სამართალწარმოების პროცესში	17
G. მოსამართლის მდგომარეობა დისციპლინური სამართალწარმოების პროცესში	19
H. დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტა	21
1. სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება	21
2. დისციპლინური ბრალდების მოხსნა	23
3. ვადის ამონურვა	24
4. სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილება.....	24
I. საჩივარი	25
J. დამატებითი საკითხები	25
VI. დასკვნა.....	26

I. შესავალი

1. 2014 წლის 14 მაისის წერილით საქართველოს იუსტიციის მინისტრმა მიმართა ვენეციის კომისიას მოემზადებინა დასკვნა „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებათა კანონპროექტზე (შემგომში კანონპროექტი) (CDL-REF(2014)022).

2. ჯოჰან ჰირშველდი (შვედეთი) და სლავიცა ბანიჩი (ხორვატია) დაინიშნენ ვენეციის კომისიის მხრიდან მომხსენებლებად.

3. გრეგორ ბორკოვსკიმ (პოლონეთი) წარმოდგენილი კანონპროექტის ანალიზი მოახდინა ადამიანის უფლებათა დირექტორატის დავალებით (შემდგომში დირექტორატი ან DHR).

4. 2014 წლის 30 ივნისსა და 1 ივლისს ვენეციის კომისიის დელეგაცია დირექტორატის ექსპერტებთან ერთად იმყოფებოდა თბილისში და შეხვდა იუსტიციის მინისტრის მოადგილეს, პარლამენტის წევრებს, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებს, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს, მოსამართლეთა ასოციაციის წევრებს და რიგ არასამთავრობო ორგანიზაციებს. ვენეციის კომისია და დირექტორატი მადლობას უხდის საქართველოს ხელისუფლებასა და პროცესში მონაწილე მხარეებს შესანიშნავი თანამშრომლობისათვის ვიზიტის განმავლობაში.

5. წარმოდგენილი ანგარიში ეყრდნობა საქართველოს ხელისუფლების მიერ მოწოდებული კანონპროექტის ინგლისურენოვან თარგმანს, რომელიც შესაძლოა ბოლომდე სწორად ვერ გადმოსცემდეს ცვლილებათა ავთენტურ შინაარსს. აქედან გამომდინარე, მოცემულ დოკუმენტში ზოგიერთი საკითხის განხილვა შესაძლოა განპირობებული იყოს არა საკუთრივ დებულებების შინაარსის, არამედ თარგმანთან დაკავშირებული სირთულეების მიზეზით.

6. ვენეციის კომისია და დირექტორატი მადლობას უხდის საქართველოს სახელმწიფო ორგანოებს „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ მოქმედი კანონის (შემგომში დისციპლინური პასუხისმგებლობის კანონი)(CDL-REF(2014)032) სრული ტექსტის ინგლისურენოვანი თარგმანის მოწოდებისათვის. ასევე გვეცნობა, რომ არსებობდა განსხვავება თარგმანში, მოქმედი კანონის დებულებებსა და ცვლილებათა კანონპროექტის იგივე დებულებების თარგმანს შორის, რომელთა ანალიზიც უნდა მოგვეხდინა. ამიტომ, დისციპლინური პასუხისმგებლობის კანონის სრული ვერსია გამოყენებულია მხოლოდ იმისათვის, რომ მოგვეხდინა იმ სამართლებრივი კონტექსტის უკეთ აღქმა, რომელშიც წარმოდგენილი ცვლილებები იგეგმება.

7. ვენეციის კომისიისა და დირექტორატის წინამდებარე ერთობლივი დასკვნა, რომელიც მომზადდა მითითებულ ექსპერტთა კომენტარების საფუძველზე, მიღებულ იქნა ვენეციის კომისიის მე-100 პლენარულ სხდომაზე რომში, (2014 წ. 10-11 ოქტომბერს).

II. წინასიტყვაობა

8. 2014 წლის 27 ივნისს საქართველოს ხელისუფლებამ ვენეციის კომისიას მიანოდა „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ კანონში ცვლილებების კანონპროექტზე მომზადებული „განმარტებითი ბარათი“, რომელშიც წარმოდგენილი იყო განმარტებები ცვლილებათა პროექტის წინაპირობებსა და მიზნებზე.

9. განმარტებით ბარათში აღნიშნულია, რომ ცვლილებების კანონპროექტის მიზანია გააუმჯობესოს დისციპლინური სამართალწარმოება, უზრუნველყოს მოსამართლეთა დამოუკიდებლობის დაცვის უფრო მაღალი ხარისხი, აღმოფხვრას მოქმედი კანონის ხარვეზები და გააუმჯობესოს მოქმედი დისციპლინური სამართალწარმოების წესები.

10. წარმოდგენილი ცვლილებების ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტი არის მოსამართლეთა მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების დანყების უფლებამოსილების საკითხი. ცვლილებების პროექტის მე-7 მუხლით გაუქმებულია უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარისა და სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის უფლება მოახდინონ დისციპლინური სამართალწარმოების ინიცირება, და განსაზღვრულია, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭო არის ერთადერთი უფლებამოსილი ორგანო, რომელსაც შეუძლია დაიწყოს დისციპლინური სამართალწარმოება მოსამართლის მიმართ. დაგეგმილი ცვლილებებით უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარისა და სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის უფლებამოსილება დისციპლინურ სამართალწარმოებასთან მიმართებაში ისევე, როგორც სხვა ნებისმიერი მოსამართლისა, შემოიფარგლება იუსტიციის უმაღლესი საბჭოსათვის დისციპლინური გადაცდომის შესახებ ინფორმაციის მიწოდებით, მოხსენებითი ბარათის წარდგენის გზით, როგორც ეს გათვალისწინებულია დისციპლინური პასუხისმგებლობის კანონის მე-6 მუხლის 1 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით.

11. კანონპროექტის განმარტებით ბარათში აღნიშნულია, რომ დისციპლინური სამართალწარმოების ეტაპების ოპტიმიზაციის მიზნით, ცვლილებების კანონპროექტი ასევე საკმაოდ ზღუდავს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის (შემდგომში მდივნის) უფლებამოსილებას მოსამართლეთა მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების პროცესში. მოქმედი კანონის მე-9 მუხლი ითვალისწინებს, რომ საბჭოს მდივანი, საჩივრის წინასწარი შემოწმების შემდეგ, უფლებამოსილია შეწყვიტოს დისციპლინური წარმოება ან ახსნა-განმარტება ჩამოართვას მოსამართლეს. საბჭოს მდივნის გადაწყვეტილება დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ განსახილველად წარედგინება იუსტიციის

CDL-AD(2014)032

უმალლეს საბჭოს.¹ თუმცა, ცვლილებათა კანონპროექტის მე-9 მუხლი საბჭოს მდივნის უფლებამოსილებას ზღუდავს და უტოვებს მხოლოდ წინასწარი შემოწმების შედეგის წარდგენის უფლებას იუსტიციის უმაღლეს საბჭოში, რომელმაც თავად უნდა გადაწყვიტოს მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტისა თუ დევნის დაწყების საკითხი.

12. განმარტებით ბარათში ხაზგასმულია, რომ კანონპროექტის ერთერთი ძირითადი მიზანია მოსამართლეთა მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების გამჭვირვალობის ხარისხის გაზრდა. ამ მიზნით, კანონპროექტის მე-5 მუხლი, დისციპლინური სამართალწარმოების კონფიდენციალურობის პრინციპის დაცვის პარალელურად, უფლებას აძლევს მოსამართლეს, რომლის მიმართაც ხორციელდება დისციპლინური სამართალწარმოება, მოითხოვოს პროცესის გასაჯაროება. იგივე მიზნით, თუკი დისციპლინური პასუხისმგებლობის კანონის მოქმედი მუხლი 17(5) იუსტიციის უმაღლეს საბჭოს უტოვებს არჩევანის უფლებას, მოიწვიოს ან არ მოიწვიოს მოსამართლე მის მიმართ საქმის განხილვაზე, 17(5) მუხლის პროექტი ავალდებულებს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს მოიწვიოს მოსამართლე სხდომაზე. დისციპლინური სამართალწარმოების მეტი გამჭვირვალობის უზრუნველყოფისათვის ასევე მნიშვნელოვანია, რომ ცვლილებათა პროექტის 58(1) მუხლის მიხედვით, მოსამართლის დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ გადაწყვეტილება უნდა ეცნობოს საჩივრის (განცხადების) ავტორსაც, და არა მხოლოდ თავად მოსამართლეს, იუსტიციის უმაღლეს საბჭოს და მოსამართლეთა კონფერენციას, როგორც ეს აღნიშნული მუხლის მოქმედი ნორმითაა გათვალისწინებული.

III. სტანდარტები

13. ვენეციის კომისიამ და ღირექტორატმა ცვლილებათა კანონპროექტი შეაფასეს იმ საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით, რომლებიც სხვადასხვა ხარისხის მანდატით შეეხება სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობას, კერძოდ:

-ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის (შემდგომში ადამიანის უფლებათა კონვენცია) მე-6 მუხლი და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (შემდგომში ECtHR) პრეცედენტული სამართალი.

-სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის შესახებ ანგარიში, (ნაწილი I): მოსამართლეთა დამოუკიდებლობა, მიღებული ვენეციის კომისიის მიერ 82-ე პლენარულ სხდომაზე (ვენეცია, 12-13 მარტი, 2010 წ.).

-ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია წევრ სახელმწიფოთა მიმართ CM/Rec (2010)12 მოსამართლეთა დამოუკიდებლობის, ეფექტიანობისა და მოვალეობების შესახებ(რომელმაც ჩაანაცვლა მინისტრთა კომიტეტის

¹ განმარტებით ბარათში აღნიშნულია, რომ პრაქტიკაში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის გადაწყვეტილება ახსნა-განმარტება ჩამოართვას მოსამართლეს, ასევე წარედგინება იუსტიციის საბჭოს თანხმობის მისაღებად. უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი ინტერპრეტაცია არ გამომდინარეობს მოქმედი კანონის მე-9 მუხლიდან, რომელიც საბჭოს მდივანს ავალდებულებს იუსტიციის საბჭოს განსახილველად წარუდგინოს მხოლოდ დისციპლინური დევნის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება.

CDL-AD(2014)032

რეკომენდაციები წევრ სახელმწიფოთა მიმართ Rec (94)12 მოსამართლეთა დამოუკიდებლობის, ეფექტიანობისა და როლის შესახებ);

-მოსამართლეთა წესდების ევროპული ქარტია (მიღებული ევროსაბჭოს მიერ ორგანიზებულ მრავალმხრივ შეხვედრაზე ევროპულ მოსამართლეთა წესდების შესახებ, 8-10 ივლისს, 1998 წ.);

-ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს დასკვნა 1 (2001) ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიმართ, სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის სტანდარტებისა და მოსამართლეთა უცვლელობის წესის შესახებ.

-ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს დასკვნა 3 (2002) ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიმართ, მოსამართლეთა პროფესიული ქცევის განმსაზღვრელი წესებისა და პრინციპების, კერძოდ, ეთიკის, შეუფერებელი საქციელისა და მიუკერძოებლობის შესახებ;

-ევროპულ მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს დასკვნა 10 (2007) ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიმართ, იუსტიციის საბჭოების საზოგადოების სამსახურში ყოფნის შესახებ;

-ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის (OSCE/ODIHR) კიევის რეკომენდაციები სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობაზე აღმოსავლეთ ევროპაში, სამხრეთ კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში (23-25 ივნისი, 2010 წ. შემდგომში „ეუთოს/ODIHR კიევის რეკომენდაციები“);

- მოსამართლეთა ქცევის წესების შესახებ 2001 წლის ბანგალორის პრინციპების განახლებული ტექსტი, მიღებული ჰააგაში, მშვიდობის სასახლეში, 2002 წლის 25-26 ნოემბერს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეთა შეხვედრაზე;

-გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ძირითადი პრინციპები სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის შესახებ, მოწონებული გენერალური ასამბლეის მიერ 1985 წლის 29 ნოემბერს (რეგ. N 40/32) და იმავე წლის 13 დეკემბერს (რეგ. N 40/146) მიღებული რეზოლუციებით.

IV. ზოგადი შენიშვნები

14. ცვლილებათა კანონპროექტი ითვალისწინებს საქართველოს მოსამართლეთა დისციპლინური სამართალწარმოების მოქმედი სისტემის ძირეულ ცვლილებას. კანონპროექტი ითვალისწინებს დისციპლინური წარმოების დანწყების პროცედურის შეცვლას, დისციპლინური წარმოების ეტაპების შემოღებას და მნიშვნელოვანი დისციპლინური უფლებამოსილების ჩამორთმევას რიგი ორგანოებისათვის, რომლებმაც ვერ შეძლეს საკმარისად შეენწყოთ ხელი სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის განვითარებისათვის. ზოგადად, კანონპროექტი შესაბამისობაშია ევროპულ მოსამართლეთა საკონსულტაციო

CDL-AD(2014)032

საბჭოს მე-3 დასკვნის 68-ე პუნქტთან, რომელიც აღგენს, რომ საჭიროა იმ პროცედურების უფრო მეტი ფორმალიზება, რომლებიც უკავშირდება დისციპლინური დევნის დაწყებას. კანონპროექტი ნამდვილად განსაზღვრავს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს, როგორც ერთადერთ ორგანოს, უფლებამოსილებით განიხილოს საჩივარი, მოსამართლისაგან მიიღოს ახსნა-განმარტება საჩივართან დაკავშირებით და შეაფასოს, არსებობს თუ არა საკმარისი საფუძველი მოსამართლის დისციპლინურ პასუხისმგებებაში მისაცემად, რა დროსაც საქმე გადაეცემა სადისციპლინო ორგანოს² (სადისციპლინო კოლეგიას, დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ კანონის მიხედვით³).

15. ყოველივეს გათვალისწინებით, დადებითი ნაბიჯია, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭო წარმოადგენდეს იმ ერთადერთ უფლებამოსილ ორგანოს, რომელსაც ექნება მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების უფლება, რაც იქნება უფრო მეტი გარანტიების შემცველი, ვიდრე სისტემა, რომელშიც დისციპლინური წარმოების დაწყების უფლებამოსილება რამოდენიმე ორგანოს ერთდროულად გააჩნია. თბილისში ჩატარებულმა შეხვედრებმა ასევე დაგვანახა, რომ კანონპროექტით გათვალისწინებულ იდეას, მოსამართლეთა მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების უფლებამოსილების მხოლოდ იუსტიციის საბჭოსთვის მიკუთვნების შესახებ, ბევრი მომხრე ჰყავს. დელეგაციამ მათგან მოისმინა, რომ იუსტიციის უმაღლეს საბჭოში დისციპლინური სამართალწარმოება უფრო მეტად გამჭვირვალეა, ვიდრე დისციპლინური სამართალწარმოება უზენაეს სასამართლოში. წარმოდგენილი ცვლილებები ასევე ნათლად მიუჩნავს პასუხისმგებლობის სფეროებს იმ ორგანოებს შორის, ვისი პრეროგატივაც არის დისციპლინური გადაცდომის გამოძიება (იუსტიციის უმაღლესი საბჭო) და რომელიც განსაზღვრავს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომას ანუ სადისციპლინო კოლეგია. აღნიშნული შესაბამისობაშია საერთაშორისო რეკომენდაციებთან, რომლებიც ითვალისწინებენ, რომ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყებაზე უფლებამოსილი ორგანო იყოს დამოუკიდებელი იმ ორგანოსგან ან სასამართლოსგან, რომელმაც უნდა განიხილოს მოსამართლის დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხი⁴.

16. კანონპროექტი ითვალისწინებს მნიშვნელოვან ცვლილებას იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სტატუსთან დაკავშირებით, რომელიც სხვადასხვა და ფართო კომპეტენციასთან ერთად, გახდება დისციპლინური სამართალწარმოების მთავარი ორგანო. კანონპროექტის მიხედვით, იუსტიციის უმაღლეს საბჭოს ექნება უფლებამოსილება დაიწყოს დისციპლინური სამართალწარმოება (მე-7 მუხლის პროექტი), საგამოძიებო ფუნქცია (მე-9 და მე-12 მუხლების პროექტი) და დისციპლინური ბრალდების ფუნქცია (39-ე მუხლის მე-4 პუნქტის პროექტი) დევნის

² ევროპულ მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს დასკვნა N 3.

³ დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ კანონის III თავი.

⁴ იხ. ევროსაბჭოს რეკომენდაცია CM/Rec (2010)12. ასევე ევროპულ მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს დასკვნა N 3 (2002), 77-ე, 68-69-ე პუნქტები და OSCE/ODIHR-ის კიევის რეკომენდაციები:

„კორპორატიული ინტერესებით მოქმედების ბრალდების თავიდან აცილების მიზნით და სამართლიანი დისციპლინური სამართალწარმოების უზრუნველსაყოფად, იუსტიციის საბჭოებს არ უნდა გააჩნდეთ ორივე უფლებამოსილება ერთდროულად ა) უფლებამოსილება მიიღონ და გამოიძიონ დისციპლინური საჩივრები და ამასთან ერთად ბ) თავადვე განიხილონ დისციპლინური საქმე და მიიღონ დისციპლინური სახდელის შესახებ გადაწყვეტილება“.

CDL-AD(2014)032

შენწყვეტის უფლებამოსილების ჩათვლით, დისციპლინური სამართალწარმოების გვიანდელ ეტაპზე კი (მუხლი 42). იუსტიციის უმაღლესი საბჭოს, გარკვეულწილად, ასევე ექნება სამოსამართლო ფუნქცია, ვინაიდან კანონპროექტის მე-19 მუხლის მიხედვით საბჭოს შეუძლია მიიჩნიოს წინასწარი შესწავლის „მტკიცებულებებზე“ დაყრდნობით, რომ მოსამართლემ ჩაიდინა დისციპლინური დარღვევა და მოსამართლეს მიმართოს კერძო სარეკომენდაციო ბარათით, თუკი მიიჩნევს, რომ მოსამართლის დისციპლინურ პასუხისმგებებაში მიცემა სადისციპლინო კოლეგიის წინაშე „მიზანშეწონელია“. და ბოლოს, საბჭოს ასევე აქვს უფლებამოსილება აღასრულოს დისციპლინური განხილვის შედეგად მიღებული გადაწყვეტილება (მე-80 მუხლი, მოსამართლის თანამდებობიდან გათავსუფლება). ვენეციის კომისია და დირექტორატი მიიჩნევს, რომ ასეთი განსხვავებული კომპეტენციების მინიჭება ერთი ორგანოსათვის, განსაკუთრებით კი დისციპლინური სამართალწარმოების ინიცირებისა და გადაწყვეტის უფლება (კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვის უფლება), საფრთხის ქვეშ აყენებს საგამოძიებო და სასამართლო ფუნქციების ნათლად გამიჯვნის სტანდარტის პრაქტიკაში გატარებას (იხ. მითითება 4), და აქედან გამომდინარე, სამართლიანობის პრინციპს⁵.

17. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, მოსამართლეთა მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების პროცესში გამჭვირვალობის პრინციპის მნიშვნელოვანება. ევროპელ მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს დასკვნა N 10-ის 91-ე პუნქტში ხაზგასმულია, რომ “გამჭვირვალობა არის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი საზოგადოებრივი ნდობისა სასამართლო სისტემის მიმართ და წარმოადგენს დაცვის გარანტიას ისეთი საფრთხეებისაგან, როგორცაა სასამართლოს შიგნით პოლიტიკური გავლენების რისკი ან პირადი ინტერესით მოქმედებისა თუ საკუთარი თავის დაცვისა და კლანური ინტერესით მოქმედების აღქმა”⁶. აღნიშნულის გათვალისწინებით მისასაღმებელია დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ კანონის 81-ე მუხლის ცვლილების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს სადისციპლინო კოლეგიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების გამოქვეყნებას ოფიციალური ვებგვერდის მეშვეობით მათი ძალაში შესვლის შემდგომ. რაც შეეხება თავად დისციპლინურ სამართალწარმოებას, კანონპროექტის მე-5 მუხლი წარმოადგენს სწორი მიმართულებით გადადგმულ ნაბიჯს, ვინაიდან ითვალისწინებს კონფიდენციალურობის პრინციპიდან გამონაკლისს, მაგ. მოსამართლის თხოვნის საფუძველზე იუსტიციის საბჭოს მიერ დისციპლინური სამართალწარმოების გასაჯაროებას.

18. კანონპროექტი უნდა ითვალისწინებდეს დისციპლინური დარღვევების ზუსტ ჩამონათვალს და უნდა გაუქმდეს მითითება „სასამართლო ეთიკაზე“. (იხ. წინამდებარე დასკვნის V-ე ნაწილის „გ“ პუნქტი).

19. და ბოლოს, კანონის სიცხადის პრინციპიდან გამომდინარე, რეკომენდებულია სამართალწარმოების სხვადასხვა ეტაპზე გამოყენებული ტერმინების გადახედვა და

⁵ გაეროს ძირითადი პრინციპები სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის შესახებ, მე-17 პუნქტში აღნიშნავს, რომ მოსამართლეს უნდა ჰქონდეს უფლება სამართლიან განხილვაზე. ასევე იხილეთ ECtHR-ის დიდი პალატის 2005 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე *Kyprianou v. Cyprus*, N. 73797/01, პუნქტი 127.

⁶ ევროპელ მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს დასკვნა N 10, პუნქტი 91.

CDL-AD(2014)032

მათი ჰარმონიზება. მაგალითად, უნდა გადაიხედოს ტერმინი „დისციპლინური დევნა“, რომელიც გულისხმობს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში დისციპლინური სამართალწარმოების ინიცირების ეტაპს (მე-13 მუხლის, 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის პროექტი), ასევე ტერმინების - „დისციპლინური დევნა“ და „დისციპლინური სამართალწარმოება“- ერთიერთიანაცვლებით გამოყენება დისციპლინური პროცესის ერთი და იგივე ეტაპის აღსანიშნად. თუმცა, აღნიშნული შესაძლოა გამოწვეული იყოს თარგმანის ხარვეზითაც.

V. მუხლობრივი ანალიზი

A. დისციპლინური სამართალწარმოების დანყების უფლებამოსილება (მე-7 მუხლის პროექტი)

20. დისციპლინური პასუხისმგებლობის მოქმედი კანონის მე-7 მუხლით მოსამართლეთა მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების ინიცირების უფლებამოსილება გააჩნია სამ სხვადასხვა ორგანოს:

ა) საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს- უზენაესი სასამართლოს, სააპელაციო სასამართლოს და რაიონული სასამართლოს მოსამართლეთა მიმართ (მე-7 მუხლის, 1-ლი პუნქტი, „ა“ ქვეპუნქტი);

ბ) სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარეს შესაბამისი სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეთა მიმართ და ასევე სააპელაციო სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიაზე მოქმედი რაიონული სასამართლოს მოსამართლეთა მიმართ. (მე-7 მუხლის, 1-ლი პუნქტი, „ბ“ ქვეპუნქტი); და

გ) იუსტიციის უმაღლეს საბჭოს, საქართველოს საერთო სასამართლოების ყველა მოსამართლის მიმართ (მე- 7 მუხლის, 1-ლი პუნქტი, „გ“ ქვეპუნქტი).

21. ცვლილებების პროექტის მე-7 მუხლი აუქმებს სასამართლოს თავმჯდომარეების უფლებას დაინყონ დისციპლინური სამართალწარმოება საერთო სასამართლოების მოსამართლეთა მიმართ და იუსტიციის უმაღლეს საბჭოს განსაზღვრავს, როგორც ერთადერთ ორგანოს დისციპლინური სამართალწარმოების ინიცირების უფლებამოსილებით მოსამართლეთა მიმართ. თუმცა, სასამართლოს თავმჯდომარეებს ისევე, როგორც ნებისმიერ მოსამართლეს, კვლავ რჩებათ მოქმედი კანონის მე-6 მუხლის, 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული უფლებამოსილება, მიანოდონ იუსტიციის უმაღლეს საბჭოს დისციპლინური გადაცდომის შესახებ ინფორმაცია განმარტებითი ბარათის წარდგენის გზით.

22. სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის შესახებ ანგარიშში (ნაწილი I) ვენეციის კომისიამ აღნიშნა, რომ „სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობა გულისხმობს მის დამოუკიდებლობას არამართო ხელისუფლების სხვა ორგანოებიდან, არამედ მას აქვს ასევე „შიდა“ ასპექტი. ყოველი მოსამართლე, სასამართლო

CDL-AD(2014)032

სისტემაში მისი ფუნქციის მიუხედავად, ახორციელებს მართლმსაჯულების იგივე უფლებამოსილებას. ამიტომ სასამართლო განხილვის დროს, იგი უნდა იყოს დამოუკიდებელი სხვა მოსამართლეებისაგან და მისი სასამართლოს თავმჯდომარისაგან ან სხვა (სააპელაციო თუ შემდგომი) სასამართლოებისაგან.” კომისიამ ასევე დასძინა, რომ „სასამართლოს შიდა და ასევე გარე დამოუკიდებლობის მიღწევის საუკეთესო გარანტი არის იუსტიციის უმაღლესი საბჭო, რომლის აღნიშნულ როლს აღიარებს ძირითადი საერთაშორისო დოკუმენტები სასამართლოს დამოუკიდებლობის შესახებ“⁷.

23. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლოს თავმჯდომარეების ისეთი დისციპლინური უფლებამოსილების არსებობამ, როგორც ეს მოქმედი კანონითაა გათვალისწინებული, შესაძლოა გამოიწვიოს საქმის განმხილველი მოსამართლის დამოუკიდებლობის დაკნინება, მაგალითად, ისეთ ვითარებაში, თუ მოსამართლე კონფლიქტშია სასამართლოს თავმჯდომარესთან. ამიტომ მისასაღმებელია, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭო იქნება ერთადერთი ორგანო მოსამართლეთა მიმართ ფორმალური დისციპლინური სამართალწარმოების ინიცირების უფლებამოსილებით. სასამართლოების თავმჯდომარეების უფლებამოსილების შემოფარგვლა, იუსტიციის უმაღლეს საბჭოში მოსამართლის მიერ დისციპლინური გადაცდომის შესახებ მხოლოდ განმარტებითი ბარათის წარდგენის უფლებით, ასევე წარმოადგენს დადებით ნაბიჯს, რომელიც გააძლიერებს მოსამართლეთა „შიდა“ დამოუკიდებლობას.

24. კანონპროექტის მე-9 მუხლის მიხედვით, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის მიერ დისციპლინური საქმის წინასწარი შესწავლის შედეგების წარდგენის შემდეგ, საბჭო, ხმათა 2/3-ით, წყვეტს, მოსთხოვოს თუ არა შესაბამის მოსამართლეს „ახსნა-განმარტების წარმოდგენა“. თუმცა, დისციპლინური სამართალწარმოების ინიცირებისათვის ასეთი კვალიფიციური უმრავლესობის დადგენა ქმნის სერიოზულ საფრთხეს იმისა, რომ ძალზე ბევრი საჩივარი დარჩება რეაგირების გარეშე ასეთ ადრეულ ეტაპზე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაძლო შიდა კორპორატიული მიდგომის გავლენით. უბრალო უმრავლესობა საკმარისი უნდა იყოს აღნიშნული საკითხის გადასაწყვეტად. და კიდევ, კანონპროექტის მე-15 მუხლის მიხედვით, იუსტიციის უმაღლესი საბჭო ხმათა იგივე 2/3-ით წყვეტს მოსამართლის დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის საკითხს, ხოლო კანონპროექტის მე-60 მუხლის მე-3 პუნქტი ითვალისწინებს იგივე კვალიფიციური უმრავლესობის მხარდაჭერას სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილების გასაჩივრებისთვის. მსგავსი ხმათა უმრავლესობა არის საკმარისი მაღალი დანაწესი, რომელმაც შესაძლოა ხელი შეუშალოს კანონპროექტის მე-7 მუხლის ლეგიტიმური მიზნის მიღწევას, და თუ არ შეაჩერა, შეანელებს მაინც დისციპლინური სამართალწარმოების ეფექტური განვითარების მთლიან პროცესს. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ახალი როლის გათვალისწინებით დისციპლინური სამართალწარმოების ინიცირებასთან მიმართებაში და დისციპლინური სამართალწარმოების ეფექტური სისტემის შექმნის მიზნით, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებები ზემოხსენებულ საკითხებზე უნდა გადაწყდეს ხმათა უბრალო უმრავლესობით.

⁷ ანგარიში სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის შესახებ (ნაწილი I), 71-ე პუნქტი.

B. დისციპლინური სამართალწარმოების კონფიდენციალურობა (კ. პრ. მე-5 მუხლი და 30-ე მუხლის მე-4 პუნქტი)

25. კანონპროექტის მე-5 მუხლი ითვალისწინებს საგამონაკლისო წესს კონფიდენციალურობის პრინციპიდა, იუსტიციის უმაღლეს საბჭოში დისციპლინური სამართალწარმოების დროს და ადგენს, რომ „დისციპლინური სამართალწარმოების პროცესი კონფიდენციალურია, თუ თავად მოსამართლე არ მოითხოვს მის გასაჯაროებას“. აღნიშნული ცვლილების პროექტი შეესაბამება გაეროს ზოგად პრინციპებს სასამართლოს დამოუკიდებლობის შესახებ, რომელიც მოითხოვს, რომ „საჩივრის შესწავლა, მის ადრეულ ეტაპზე, განხორციელდეს კონფიდენციალურობის დაცვით, თუ თავად მოსამართლემ არ მოითხოვა საპირისპირო“⁸.

26. ამასთან ერთად, საჯაროობა ასევე ერთერთი ძირითადი პრინციპი უნდა იყოს დისციპლინური სამართალწარმოების დასკვნითი ეტაპების დროს, როგორც ეს სასამართლოს დამოუკიდებლობის შესახებ კიევის რეკომენდაციების 26-ე პუნქტშია აღნიშნული, (...) გამჭვირვალობა უნდა გახდეს მოსამართლეთა მიმართ დისციპლინური განხილვის წესი. ასეთი სხდომები უნდა იყოს საჯარო, გარდა იმ შემთხვევისა, თუ თავად მოსამართლე, რომელსაც ბრალი ედება, მოითხოვს დახურულ განხილვას“. ამ მოსაზრების გათვალისწინებით, პრობლემურია კანონპროექტის 30-ე მუხლის მე-4 პუნქტი, რომლის მიხედვითაც „სადისციპლინო კოლეგიის სხდომები დახურულია“⁹. უპირველეს ყოვლისა, რეკომენდებულია, რომ სხდომები, როგორც წესი, იყოს საჯარო, ხოლო დახურული წესით სხდომების ჩატარება იყოს საგამონაკლისო ფორმა, მოსამართლის თხოვნის საფუძველზე და კანონით გათვალისწინებული გარემოებების დროს. მეორე შენიშვნა შეეხება იმას, რომ 30-ე მუხლის მე-4 პუნქტის შინაარსიდან არ ჩანს მოსამართლის თხოვნა გასაჯაროებაზე, რომელსაც ითვალისწინებს იუსტიციის უმაღლესი საბჭო საქმისწარმოების დროს (კანონპროექტის მე-5 მუხლი), წარმოადგენს თუ არა ასევე გამონაკლისს კონფიდენციალურობის პრინციპიდან სადისციპლინო კოლეგიის სხდომებთან მიმართებაში ან აღნიშნული წესი, ხომ არ ეხება მხოლოდ სხდომებთან დაკავშირებულ ინფორმაციას. ამიტომ რეკომენდებულია, რომ, თუკი კანონპროექტი შეინარჩუნებს სადისციპლინო კოლეგიის სხდომების კონფიდენციალურობის პრინციპს, მოსამართლის თხოვნა გასაჯაროების შესახებ ნათლად ჩაიწეროს, როგორც გამონაკლისი კონფიდენციალურობის პრინციპიდან.

C. დისციპლინური სამართალწარმოების საფუძვლები (დისციპლინური პასუხისმგებლობის კანონის მე-2 მუხლი)

⁸ გაეროს ძირითადი პრინციპები სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის შესახებ, 17-ე პუნქტი.

⁹ 97-ე პუნქტი, CDL-AD (2014)007 ვენეციის კომისიის დასკვნა სასომხეთის მოსამართლეთა ეთიკის კოდექსზე (მოსამართლეთა შეფასების სისტემა), მიღებული 98-ე პლენარულ სხდომაზე (21-22 მარტი, 2014 წ.)

CDL-AD(2014)032

27. დისციპლინური პასუხისმგებლობის კანონზე მომზადებულ დასკვნაში¹⁰ ვენეციის კომისიამ აღნიშნა, რომ „პასუხისმგებლობის საფუძვლები (...) უნდა გადაიხედოს და უფრო ზუსტად მოხდეს მათი განსაზღვრა ისეთი ფორმით, რომ გამოირიცხოს მათი გამოყენება სხვა მიზნებისთვის, გარდა დისციპლინური სამართალწარმოების ნამდვილი მიზნებისა.“

28. სამწუხაროა, რომ ვენეციის კომისიის 2007 წლის დასკვნაში კრიტიკის მიუხედავად, მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლის შესახებ დებულებები (დისციპლინური პასუხისმგებლობის კანონის მე-2 მუხლი) არ არის განხილული ცვლილებათა კანონპროექტში, რომელსაც ეხება წინამდებარე დასკვნა. მიუხედავად იმისა, რომ დისციპლინური პასუხისმგებლობის კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი, რომელზეც შენიშვნები გამოთქვა ვენეციის კომისიამ, ამოღებული იქნა 2012 წლის მარტში, აღნიშნული მუხლის „თ“ ქვეპუნქტი, („სამოსამართლო ეთიკის ნორმების სხვა სახის დარღვევა...), რომელზეც ასევე დააფიქსირა ვენეციის კომისიამ კრიტიკა, კვლავ გათვალისწინებულია მე-2 მუხლის, მე-2 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტით, შეცვლილი სახით („სამოსამართლო ეთიკის დარღვევა“). ვენეციის კომისია და დირექტორატი განმეორებით აღნიშნავენ, რომ ნორმიდან ნათლად არ ჩანს ეს დებულება მოქმედი ეთიკის კოდექსზე აკეთებს მითითებას, თუ მასში ივარაუდება ეთიკის ზოგადი, დაუნერგელი წესებიც. რამოდენიმე დასკვნაში ვენეციის კომისიამ კრიტიკულად შეათვსა ზოგადი სადამსჯელო მექანიზმის შექმნა ეთიკის კოდექსის დაღვევისათვის, როგორც ძალზედ ზოგადი და ბუნდოვანი ნორმებისა, და დასძინა, რომ გაცილებით უფრო ზუსტი დებულებები უნდა გაიწეროს, როდესაც საქმე ეხება დისციპლინურ პასუხისმგებლობას¹¹. გამომდინარე აქედან, ვენეციის კომისია და დირექტორატი განმეორებით აღნიშნავენ ამ საკითხზე ვენეციის კომისიის მიერ უკვე დაფიქსირებულ რეკომენდაციას, რომ კანონის აღნიშნული დებულება უნდა გაუქმდეს და გაიწეროს დისციპლინური დარღვევების ზუსტი ჩამონათვალი.

29. უდაოდ დადებითი ნაბიჯია, რომ 2012 წლის მარტში შეტანილი ცვლილებებით დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ კანონს დაემატა ახალი ქვეპუნქტი (მუხლი 2, ქვეპუნქტი 3), რომლის მიზანიც იყო, რომ დისციპლინური პასუხისმგებლობა არ გავრცელდებოდა მოსამართლის მიერ სამოსამართლო საქმიანობის განხორციელების პროცესში გაკეთებულ კანონის განმარტებაზე: „კანონის არასწორი განმარტება, რომელსაც საფუძვლად უდევს მოსამართლის შინაგანი რწმენა, არ არის დისციპლინური გადაცდომა და აღნიშნული ქმედებისათვის მოსამართლეს არ ეკისრება დისციპლინური პასუხისმგებლობა“. აღნიშნული დებულება შესაბამისობაშია „საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ კანონის ცვლილებათა პროექტზე

¹⁰ CDL-AD (2007)009 ვენეციის კომისიის დასკვნა საქართველოს კანონზე „მოსამართლეთა მიმართ დისციპლინური სამართალწარმოებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ“, მიღებული 70-ე პლენარულ სხდომაზე, (16-17 მარტი, 2007 წ).

¹¹ ვენეციის კომისიის დასკვნა ტაჯიკეთის მოსამართლეთა ეთიკის კოდექსზე, CDL-AD(2013)035; CDL-AD (2014)006, 35-ე პუნქტი, CDL-AD(2014)007, 111-ე პუნქტი.

CDL-AD(2014)032

ვენეციის კომისიის 2007 წლის დასკვნაში გაკეთებულ რეკომენდაციებთან¹². ამასთან ერთად, თბილისში ვიზიტის განმავლობაში, რიგი პირების მიერ აღნიშნულ იქნა, რომ მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების საფუძვლებთან დაკავშირებით, შესაბამის კანონში, სიციხადის არარსებობის გამო, დისციპლინური სამართალწარმოების საფუძვლები განიმარტა იმის მიხედვით როგორც მათ განმარტავდა იუსტიციის უმაღლესი საბჭო. ხოლო პრაქტიკაში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ განხილული საჩივრების უმეტესობა შეეხებოდა საქმის განხილვის გაჭიანურებასა და მოსამართლის მოვალეობის არაჯეროვან შესრულებას (დისციპლინური პასუხისმგებლობის კანონის მუხ. 2 (2)(„ვ“)). ჩვენთვის უცნობია, პრაქტიკაში ამ საფუძვლით შემოსული საჩივრები დაედო თუ არა საფუძვლად დისციპლინური სამართალწარმოების დაწყებას მოსამართლეთა მიმართ. თუმცა, აღნიშნული მიანიშნებს ახალი დებულების (მუხ. 2, პ.3) ეფექტური იმპლემენტაციის მნიშვნელობაზე, რომელიც ითვალისწინებს დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლებიდან “არასწორი განმარტების” ამოღებას. ამიტომ, სადისციპლინო ორგანოებმა უნდა მოახდინონ აღნიშნული დებულების უფრო მკაცრი ინტერპრეტაცია და მოსამართლის ნამდვილი ფუნქციის დამოუკიდებელი სასამართლო განხილვის დასაცავად, მაქსიმალურად უნდა გამოირიცხოს დისციპლინური საფუძვლების ფართო და ღია განმარტებები.

30. ვენეციის კომისიის და დირექტორატის შემდგომი რეკომენდაციაა რომ დაიხვეწოს დისციპლინური პასუხისმგებლობის განმსაზღვრელი დებულებები, (მაგ. მე-2 მუხლის მე-2 პუნქტში განწერილი დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლები).

D. მტკიცების სტანდარტები დისციპლინური სამართალწარმოების დროს

31. არც მოქმედი კანონი და არც კანონპროექტი არ აწესებს მტკიცების სტანდარტს და დასაშვები მტკიცებულებების სახეს დისციპლინური სამართალწარმოების პროცესში. ისინი ასევე არ შეიცავენ რაიმე მითითებას ადმინისტრაციული, სამოქალაქო ან სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებზე, რომ მოხდეს აღნიშნულ კოდექსებში განწერილი მტკიცების სტანდარტების ანალოგიის სახით გამოყენება დისციპლინური სამართალწარმოების დროს, კერძოდ, იმ საპროცესო საკითხების გადასაწყვეტად, რომლებიც განწერილი არ არის დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ კანონით. გამომდინარე აქედან ბუნდოვანია, თუ რომელი მტკიცებულება არის რელევანტური, დასაშვები ან საკმარისი და რა კრიტერიუმები გამოიყენება აღნიშნული საკითხების გადასაწყვეტად.

32. მიუხედავად იმისა, რომ მოქმედი კანონის მე-6 მუხლი ადგენს, თუ ვინ შეიძლება იყოს საჩივრის ავტორი (ანონიმური პიროვნების გარდა ნებისმიერი პირი, მოსამართლე, სასამართლოს ან იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოხელე, საგამოძიებო ორგანოს თანამშრომელი, მასმედია) და განსაზღვრავს ფორმას, რომელიც უნდა იყოს გამოყენებული საჩივრის წარსადგენად (იუსტიციის უმაღლესი

¹² CDL-AD (2007)009 ვენეციის კომისიის დასკვნა საქართველოს კანონზე მოსამართლეთა მიმართ დისციპლინური სამართალწარმოებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ, 21-ე პუნქტი.

CDL-AD(2014)032

საბჭოს მიერ დამტკიცებული სპეციალური ფორმა, საგამოძიებო ორგანოს შემთხვევაში-შეტყობინება, როდესაც საჩივრის ავტორი არის სასამართლოს ან იუსტიციის საბჭოს მოხელე-განმარტებითი ბარათი, და ა შ.), კანონი არ განსაზღვრავს, მაგალითად, ისეთ საკითხს, იუსტიციის უმაღლესი საბჭო ან სადისციპლინო კოლეგია მიიღებს თუ არა მტკიცებულებას, რომელიც მოპოვებულია კანონის დარღვევით (რაც ადმინისტრაციული, სამოქალაქო თუ სისხლის სამართლის პროცესით დაუშვებლად იქნებოდა ცნობილი). აღნიშნულს აქვს თანმდევნი შედეგი სააპელაციო განხილვისთვის, როდესაც იუსტიციის უმაღლესი საბჭოსა და სადისციპლინო კოლეგიის მიერ განხილული მტკიცებულება შესაძლოა მიჩნეულ იქნას დაუშვებელ მტკიცებულებად უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის მიერ.

33. რათქმაუნდა, დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ კანონი ვერ გაითვალისწინებს ყველა შესაძლო საპროცესო საკითხს, რომელიც დისციპლინური სამართალწარმოების ფარგლებში შეიძლება წამოიჭრას. თუმცა, იმ საპროცესო წესების გაუთვალისწინებლობამ, რომლებსაც შესაძლოა გავლენა ჰქონდეს მოსამართლის მიერ დაცვის უფლებით სარგებლობაზე, შესაძლოა გამოიწვიოს სერიოზული კითხვები, დისციპლინური წარმოების შესაბამისობასთან დაკავშირებით ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-6 მუხლით გათვალისწინებული სამართლიანი სასამართლოს მოთხოვნასთან, გამომდინარე იქიდან, რომ კონვენციის მე-6 მუხლის მოქმედება ვრცელდება დისციპლინურ სამართალწარმოებაზე მე-6 მუხლის სამოქალაქო და სისხლის სამართალწარმოებაზე გავრცელების ფარგლებში¹³.

34. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, რეკომენდებულია კანონპროექტის შევსება და მითითების დამატება იმის თაობაზე, რომ, თუ საპროცესო საკითხი ნათლად არ არის რეგულირებული დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ კანონით, გამოყენებულ უნდა იქნას ერთ-ერთი საპროცესო კოდექსი ანალოგიის წესით და მხოლოდ ის მტკიცებულება იქნება დასაშვები, რომელიც მოპოვებულია შესაბამისი საპროცესო კოდექსის მტკიცებულების შესახებ წესების დაცვით.

E. კერძო სარეკომენდაციო ბარათი

35. კანონპროექტის მე-19 მუხლის 1-ლი პუნქტი და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ კანონის 51-ე მუხლი საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს ანიჭებს უფლებამოსილებას, შეწყვიტოს დისციპლინური სამართალწარმოება და მოსამართლეს მიმართოს „კერძო სარეკომენდაციო ბარათით.“ კანონპროექტის მე-19 მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით, იუსტიციის უმაღლეს საბჭოს ასეთი გადაწყვეტილების მიღების უფლება აქვს, თუკი დისციპლინურ საქმეზე „მტკიცებულებების“ გამოკვლევისას უტყუარად დადგინდება მოსამართლის მიერ ისეთი დისციპლინური გადაცდომის ჩადენა, რომლისთვისაც მოსამართლის დისციპლინურ პასუხისმგებლობაში მიცემა მიზანშეუწონელია. დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ კანონის 51-ე მუხლი ითვალისწინებს უფრო დეტალურ, მაგრამ მაინც ბუნდოვან დებულებებს სადისციპლინო კოლეგიის მიერ კერძო

¹³ ECHR *Campbell and Fell*, no. 7819/77, *Olujić v. Croatia*, no 22330/05, *Volkov v. Ukraine*, 21722/11.

CDL-AD(2014)032

სარეკომენდაციო ბარათის გამოყენების პროცედურასთან დაკავშირებით. 51-ე მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით, „თუ სადისციპლინო კოლეგიაში საქმის განხილვისას დადასტურდა მოსამართლის მიერ დისციპლინური გადაცდომის ბრალეულად ჩადენა, მაგრამ დარღვევის მცირე მნიშვნელობის, ბრალის უმნიშვნელო ხარისხის გამო ან სხვა მოტივით (საკუთხის დელიკატურობის ან სხვა მიზეზით, მოსამართლის პიროვნების გათვალისწინებით) სადისციპლინო კოლეგია მიზანშეუწონლად თვლის მოსამართლისათვის დისციპლინური სახდელის დაკისრებას“, იგი მოსამართლეს მიმართავს „კერძო სარეკომენდაციო ბარათით“.

36. მიუხედავად იმ განმარტებისა, რომელიც კანონპროექტის 51-ე მუხლის მე-2 პუნქტშია მოცემული, რომლის მიხედვითაც კერძო სარეკომენდაციო ბარათი არის სადისციპლინო კოლეგიის წერილი დისციპლინური დარღვევის ჩამდენი მოსამართლისადმი, სადაც უარყოფითად არის შეფასებული ამ მოსამართლის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი, აღნიშნული განმარტება ნათლად არ განმარტავს, კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა წარმოადგენს თუ არა დისციპლინურ სახდელს. თბილისში გამართული შეხვედრების დროს დელეგაციამ მიიღო განმარტება, რომ კერძო სარეკომენდაციო ბარათს აქვს უფრო ინფორმაციული დატვირთვა იმ საკითხებთან დაკავშირებით, რაც დისციპლინური განხილვის დროს წამოიჭრა და მასში გადმოცემულია ის რეკომენდაციები, რომლებიც დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ კანონის 51-ე მუხლის 1-ლი პუნქტითაა გათვალისწინებული. მაგალითად, თუ როგორ „აღმოიფხვრას დარღვევა და მოსამართლის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული პრობლემებისა და სირთულეების დაძლევის გზები“. კერძო სარეკომენდაციო ბარათი არ არის დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ კანონის მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტის ჩამონათვალში, რომლითაც განწერილია დისციპლინური სახდელის სახეები (როგორცაა მკაცრი საყვედური, მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლება და სხვა). თუმცა, იგი მითითებულია მე-4 მუხლის მე-2 პუნქტში, როგორც დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიება.

37. აღნიშნულის მიუხედავად, კერძო სარეკომენდაციო ბარათმა შესაძლოა მაინც იქონიოს უარყოფითი გავლენა მოსამართლის კარიერაზე: იუსტიციის უმაღლესი საბჭო ან სადისციპლინო კოლეგია დადასტურებულად მიიჩნევს მოსამართლის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტს, შემდეგ იღებს გადაწყვეტილებას, რომ არ გამოიყენოს მე-4 მუხლის 1-ლ პუნქტში მითითებული დისციპლინური სახდელი, რადგან მიიჩნევს, რომ მათი გამოყენება მოცემულ საქმეზე „მიზანშეუწონელია“. მის ნაცვლად ის მიმართავს დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიებას ანუ იყენებს კერძო სარეკომენდაციო ბარათს, რომელიც გათვალისწინებულია დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით. ასევე, დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ კანონის მე-60 მუხლის 1-ლი პუნქტი, რომელიც ადგენს სადისციპლინო კოლეგიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების პროცედურას უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატაში 48-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“-„ე“ ქვეპუნქტებზე მითითებით, მხარეებს შესაძლებლობას აძლევს გაასაჩივრონ სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილება მოსამართლის მიმართ „კერძო სარეკომენდაციო ბარათის“ გამოყენების შესახებ. სადისციპლინო კოლეგიის მიერ კერძო

CDL-AD(2014)032

სარეკომენდაციო ბარათის გამოყენების გადანყვეტილების გასაჩივრების უფლება ამყარებს უკვე აღნიშნულ მოსაზრებას, რომ კერძო სარეკომენდაციო ბარათის გამოყენებას შესაძლოა ჰქონდეს უარყოფითი გავლენა მოსამართლის სამოსამართლო კარიერაზე. თუმცა, არც დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ კანონი და არც კანონპროექტი არ ითვალისწინებს აღნიშნული ღონისძიების გასაჩივრების უფლებას, როდესაც კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვას იყენებს იუსტიციის უმაღლესი საბჭო, რაც იმას გულისხმობს, რომ იგივე დისციპლინური სახდელი, რომელიც დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით არის გათვალისწინებული, შესაძლებელია გამოყენებული იყოს ორი სხვადასხვა ორგანოს მიერ - ერთის მხრივ, სადისციპლინო კოლეგიისა და მეორეს მხრივ, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ. ამასთან, სადისციპლინო კოლეგიის მიერ მისი გამოყენება შესაძლებელია გასაჩივრდეს, ხოლო იგივე ღონისძიების გამოყენება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ არ ითვალისწინებს მისი გასაჩივრების წესს.

38. როდესაც მოსამართლეს კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართავს იუსტიციის უმაღლესი საბჭო, იგი ერთდროულად მოქმედებს, როგორც საგამოძიებო ორგანო და როგორც ორგანო, რომელმაც უნდა დაადგინოს, ადგილი ჰქონდა თუ არა გადაცდომის ჩადენას და გამოიყენოს შესაბამისი სანქცია. ეს ფუნქციები კი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად გამიჯნული უნდა იყოს¹⁴. ამასთან ერთად, არც მოქმედი კანონი და არც კანონპროექტი არ ითვალისწინებს აღნიშნული გადანყვეტილების გასაჩივრების წესს.

39. თბილისში ვიზიტის დროს მიღებული ინფორმაციის მიხედვით, მოსამართლემ, რომლის მიმართაც იუსტიციის საბჭოში მიმდინარეობს სამართალწარმოება, შესაძლოა მიიღოს სარეკომენდაციო ბარათი და არც კი იცოდეს, რომ მის მიმართ იხილებოდა საჩივარი და გამოძიება ჩატარდა ისე, რომ მას არ მისცემია სადისციპლინო გადაცდომის საჩივართან დაკავშირებით განმარტების მიცემის შესაძლებლობა.

40. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვენეციის კომისიისა და დირექტორატის პოზიციაა, რომ კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვის უფლება, როგორც დისციპლინური ღონისძიება, რომელმაც შესაძლებელია გავლენა იქონიოს მოსამართლის სამოსამართლო კარიერაზე, უნდა მიენიჭოს მხოლოდ სადისციპლინო კოლეგიას, როგორც დამოუკიდებელ ორგანოს, რომელიც უფლებამოსილია დაადგინოს დისციპლინური საჩივრების ნამდვილობა და რომლის გადანყვეტილებებიც ექვემდებარება გასაჩივრებას უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატაში. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილება ასეთ შემთხვევაში შეიძლება შემოიფარგლოს მოსამართლის მიმართ მხოლოდ რეკომენდაციების მიცემით იმ მიზნით, რომ „აღმოიფხვრას დარღვევა და შესთავაზოს მოსამართლის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული პრობლემებისა და სირთულეების დაძლევის გზები“, რაც მოქმედი დისციპლინური პასუხისმგებლობის კანონის 51-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით თან უნდა ერთვოდეს ბარათს. თუმცა აღნიშნული რეკომენდაციები არ

¹⁴ იხ. მითითება N 4.

CDL-AD(2014)032

უნდა წარმოადგენდეს არც დისციპლინურ სახდელს (მუხ. 4(1)) და არც დისციპლინურ ღონისძიებას (მუხ.4(2)) და არ უნდა ახდენდეს გავლენას მოსამართლის კარიერაზე, რადგან აღნიშნული გარემოება დაარღვევდა საგამოძიებო და განმხილველი ორგანოს ერთმანეთისაგან გამიჯვნის მოთხოვნას.

41. თუ კანონპროექტით გათვალისწინებული დებულება (მუხ. 19. (1)), რომელიც იუსტიციის უმაღლეს საბჭოს ანიჭებს კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვის უფლებას, შენარჩუნდება, რაც ძნელად თუ იქნება თანხვედრაში ზემოაღნიშნულ საერთაშორისო სტანდარტებთან, იუსტიციის საბჭოს მიერ კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვის გადაწყვეტილების გასაჩივრების წესი მაინც უნდა დაწესდეს და შესაბამის მოსამართლეს მიეცეს შესაძლებლობა წარადგინოს განმარტება ვიდრე საბჭო მიიღებს გადაწყვეტილებას. სხვაგვარად, დაირღვევა თანაბარი შესაძლებლობების პრინციპი.

42. იუსტიციის უმაღლეს საბჭოსა და სადისციპლინო კოლეგიას ძალზედ ფართო დისკრეცია გააჩნიათ იმ საფუძვლების შეფასებისას, რომლის მიხედვითაც ისინი წყვეტენ, გამოიყენონ თუ არა დისციპლინური სახდელის სახით კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა. იუსტიციის საბჭოსა და სადისციპლინო კოლეგიას აღნიშნული ღონისძიების გამოყენება შეუძლია, თუკი ისინი „მიზანშეწონლად“ მიიჩნევენ მოსამართლის დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემას (მე-19.1 და 51.1-ე მუხლების პროექტი) გადაცდომის მცირემნიშვნელობის, ბრალეულობის მცირე ხარისხის და სხვა ბუნდოვანი მოტივებით. მნიშვნელოვანია, რომ თუკი მოხდება აღნიშნული დებულების შენარჩუნება, ის საფუძვლები, რომლითაც ხდება კერძო სარეკომენდაციო ბარათის გამოყენება მოსამართლის მიმართ, გაიწეროს ნათელი და არაბუნდოვანი ტექსტით 51-ე მუხლის 1-ლ პუნქტში და კანონპროექტის მე-19 მუხლის 1-ლ პუნქტში, რათა საკმარისად შემოიფარგლოს დისციპლინური ორგანოების დისკრეცია დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის „მიზანშეწონილების“ განსაზღვრისას, მოსამართლისათვის კერძო სარეკომენდაციო ბარათის გაგზავნამდე. 51-ე მუხლის მოქმედი ვერსია შესაძლებელია გამოყენებული იქნას, როგორც მოსამართლეთა დამოუკიდებელი განხილვის ფუნქციის წინააღმდეგ მიმართული სადამსჯელო ღონისძიება.

43. და ბოლოს, რეკომენდებულია, რომ 51-ე მუხლის მე-2 პუნქტში დაემატოს ტერმინი „საჭიროების შემთხვევაში“. სხვაგვარად, სადისციპლინო კოლეგია ვალდებული იქნება დაურთოს რეკომენდაციების ნუსხა ყოველ ჯერზე, როდესაც იგი გამოიყენებს კერძო სარეკომენდაციო ბარათს, მაშინაც კი, როდესაც ეს შეეხება მცირე, ერთჯერადი ხასიათის ინციდენტს, რაც მხოლოდ და მხოლოდ გაზრდის სადისციპლინო კოლეგიის დატვირთვას.

F. საჩივრის ავტორის სტატუსი დისციპლინური სამართალწარმოების პროცესში (17(5), 58(1) და 39(7) მუხლების პროექტი)

44. კანონპროექტი ითვალისწინებს საჩივრის ავტორის მოსმენის შესაძლებლობას იუსტიციის უმაღლეს საბჭოში, თუ საბჭო ამას საჭიროდ მიიჩნევს (17(5) მუხლის პროექტი), და სადისციპლინო კოლეგიაში, როგორც ეს გათვალისწინებულია 39(7)-

CDL-AD(2014)032

ე მუხლით, რომელიც ადგენს, რომ „დისციპლინური ბრალდების წარმდგენი პირი შემოიფარგლება მხოლოდ დისციპლინური ბრალდების წაყენებითა და მისი დასაბუთებით. მას არა აქვს უფლება მოითხოვოს მოსამართლისათვის კონკრეტული დისციპლინური სახდელის დაკისრება და დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების შეფარდება”.

45. კანონპროექტის 51(3)-ე მუხლის მიხედვით, კერძო სარეკომენდაციო ბარათის გამოყენების შესახებ ცნობა დისციპლინური გადაცდომის ჩამდენ მოსამართლესთან ერთად ეგზავნება საჩივრის ავტორსაც, რაც წარმოადგენს კონფიდენციალურობის პრინციპიდან გამონაკლისს, რომელსაც თან ერთვის გაუმჟღავნებლობის საჭირო გარანტიები (საჩივრის ავტორი ვალდებულია ხელი მოაწეროს ხელწერილს კერძო სარეკომენდაციო ბარათის შინაარსის გაუმჟღავნებლობაზე). თუმცა, დისციპლინური პასუხისმგებლობის კანონში და არც კანონპროექტში არაფერი წერია, თუ რა მოყვება საჩივრის ავტორის მხრიდან გაუმჟღავნებლობის ვალდებულების დარღვევას.

46. საჩივრის ავტორს საკმაო ღონის ჩართულობა აქვს განხილვაში სადისციპლინო კოლეგიაში, ვინაიდან განხილვაში მონაწილეობის გარდა (თუმცა ეს ნათლად არ წერია 39(7) მუხლში), კანონპროექტის 58(1)-ე მუხლის მიხედვით სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილება უნდა ეცნობოს საჩივრის ავტორს. შესაბამისად, საჩივრის ავტორი ინფორმირებული იქნება, თუ რა შედეგი მოჰყვა დისციპლინურ სამართალწარმოებას, რომელიც მისი საჩივრის საფუძველზე დაიწყო.

47. საჩივრის ავტორის დისციპლინური განხილვის პროცესში ჩართულობის საკითხის სამართლებრივი რეგულირება შეიძლება განსხვავდებოდეს სხვადასხვა ქვეყნებში. ერთის მხრივ, მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხი მიიჩნევა ზოგადად სასამართლო სისტემის შიდა გადასაწყვეტ საკითხად, სასამართლო სისტემისა და მოსამართლეს შორის ურთიერთობად, რომელიც ამართლებს შეზღუდვებს საჩივრის ავტორის მონაწილეობის მიმართ დისციპლინური განხილვის პროცესში. მეორეს მხრივ, საჩივრის ავტორი შეიძლება თავად იყოს მოსამართლის სავარაუდო დისციპლინური გადაცდომის შედეგად დაზარალებული და შესაძლოა ჰქონდეს ლეგიტიმური ინტერესი, მონაწილეობა მიიღოს საქმის განხილვის პროცესში. განსაკუთრებით, თუ მოსამართლის გადაცდომას შედეგად მოჰყვა მისი უფლებების დარღვევა. საჩივრის ავტორის ჩართულობამ შესაძლოა ნათელი მოჰფინოს საქმის კონკრეტულ გარემოებებს და შესაძლებლობა მისცეს სადისციპლინო ორგანოებს (იუსტიციის საბჭო, სადისციპლინო კოლეგია) გადაამოწმონ საჩივრის ავტორის ბრალდებების სისწორე მისგან ზეპირი განმარტების მოსმენის გზით. ყოველივეს მიუხედავად, დისციპლინურ პასუხისმგებლობაში გადაცემული მოსამართლის უფლებების დაცვის მიზნით, უზრუნველყოფილ უნდა იქნას გაუმჟღავნებლობის დებულების ეფექტური იმპლემენტაცია.

48. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ზოგადად მისასაღმებელია ის დებულებები, რომლებიც უფლებას ანიჭებს საჩივრის ავტორს მონაწილეობა მიიღოს სადისციპლინო განხილვაში იუსტიციის საბჭოსა და სადისციპლინო კოლეგიის წინაშე. ამასთან, კანონპროექტი, ასევე უნდა ითვალისწინებდეს იმ შესაძლო შედეგებს, რაც საჩივრის ავტორის მიერ დისციპლინურ საქმეზე ინფორმაციის გამჟღავნებას შეიძლება მოჰყვეს. ასევე რეკომენდებულია ნათელი კრიტერიუმების

CDL-AD(2014)032

განერა მე-17(5) მუხლში, რომლის საფუძველზეც იუსტიციის უმაღლესი საბჭო წყვეტს, საჭიროა თუ არა საჩივრის ავტორის მოსმენა კონკრეტულ საქმეზე. ამასთან ერთად, 39(7)-ე მუხლი ნათლად უნდა მიუთითებდეს, დასაშვებია თუ არა საჩივრის ავტორის მოწვევა სადისციპლინო კოლეგიის განხილვაზე, კონფიდენციალურობის პრინციპიდან გამონაკლისის სახით და თუ რა პირობებით უნდა განხორციელდეს აღნიშნული.

G. მოსამართლის მდგომარეობა დისციპლინური სამართალწარმოების პროცესში

49. მოსამართლე, ვის მიმართაც მიმდინარეობს დისციპლინური სამართალწარმოება, დროულად უნდა იყოს ინფორმირებული გამოძიების მიმდინარეობის შესახებ, უნდა ჰქონდეს უფლება, იყოლიოს დამცველი და აღნიშნული უფლება უნდა ვრცელდებოდეს დისციპლინური სამართალწარმოების მთელ პროცესზე. თუმცა, არც მოქმედი კანონი და არც წარმოდგენილი კანონპროექტი არ შეიცავს რაიმე ცხად მითითებას იმასთან დაკავშირებით, თუ როდის იწყება ფორმალურად მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოება. გაუგებარია, დისციპლინური სამართალწარმოების დაწყება იუსტიციის საბჭოს სრული შემადგენლობის 2/3-ის უმრავლესობით, მოსამართლისათვის ახსნა-განმარტების ჩამორთმევის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებას უკავშირდება, თუ საბჭოს მდივნის მიერ წინასწარი შემოწმების დაწყებას. თბილისში ვიზიტის დროს დელეგაციას აცნობეს, რომ უკვე საქმის წინასწარი შემოწმების ეტაპზე იუსტიციის საბჭოს მდივანი მოსამართლისგან ითხოვს წერილობით ახსნა-განმარტებას წარდგენილ დისციპლინურ ბრალდებასთან დაკავშირებით და, რომ სწორედ ამ დროს ხდება მოსამართლისთვის ცნობილი მიმდინარე დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ და მას ამ დროიდანვე შეუძლია ისარგებლოს დამცველის მომსახურებით. თუმცა, მოქმედი კანონის მე-8 მუხლი, რომელიც საბჭოს მდივნის მიერ წინასწარი შემოწმების ჩატარებას არეგულირებს, არ ავალდებულებს ამ უკანასკნელს, დაუკავშირდეს მოსამართლეს და მოითხოვოს ახსნა-განმარტება; როგორც ჩანს, ეს მდივნის დისკრეციული გადაწყვეტილებაა. თუ მოსამართლეს მანამდე არ დაუკავშირდნენ, ის დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ მაშინ შეიტყობს, როცა საბჭო განსახილველი კანონპროექტის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად სრული შემადგენლობის 2/3-ის უმრავლესობით გადაწყვეტს, მოსამართლეს მოსთხოვოს ახსნა-განმარტება. ამ დრომდე მოსამართლეს არ ეცოდინება მიმდინარე სამართალწარმოების შესახებ, და შესაბამისად, ის მოკლებული იქნება შესაძლებლობას, ისარგებლოს დამცველის დახმარებით. მეტიც, თუ კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, იუსტიციის უმაღლესი საბჭო გადაწყვეტს, მოსამართლეს მიმართოს კერძო სარეკომენდაციო ბარათით, მოსამართლისთვის კერძო სარეკომენდაციო ბარათის მიღებამდე, უცნობი იქნება მიმდინარე შემოწმების შესახებ და შესაბამისად, არ ექნება შესაძლებლობა, ისარგებლოს უფლებით იყოლიოს დამცველი.

50. თანაბარი შესაძლებლობების პრინციპის უზრუნველყოფის მიზნით, ვენეციის

CDL-AD(2014)032

კომისია და დირექტორატი იძლევიან კანონპროექტის შესწორების რეკომენდაციას იმგვარად, რომ მოსამართლეს ეცნობოს მიმდინარე სამართალწარმოების შესახებ უკვე პირველადი შემონშების ეტაპზე, რათა მან შეძლოს ადრეული ეტაპიდანვე ისარგებლოს დამცველის დახმარებით. ამასთან დაკავშირებით, კანონპროექტის 39-ე მუხლის მე-4 პუნქტის ჩანაწერი, რომელიც აცხადებს, რომ სადისციპლინო კოლეგიის მიერ დისციპლინური საქმის განხილვაზე მოსამართლეს უფლება აქვს, მოიწვიოს დამცველი - არ არის საკმარისი. ეს უფლება სხვა მუხლში უნდა იყოს მოცემული და უნდა ვრცელდებოდეს დისციპლინური სამართალწარმოების ყველა ეტაპზე და არა მხოლოდ სადისციპლინო კოლეგიის მიერ საქმის განხილვაზე.

51. მისასალმებელია, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭო ვალდებულია მოსამართლე მიიწვიოს სხდომაზე, სადაც განიხილავს მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის ან მოსამართლის დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის საკითხს (კანონპროექტის მე-17(5) მუხლი) მაშინ, როცა ამ მუხლის მოქმედი რედაქციის მიხედვით, იუსტიციის საბჭო უფლებამოსილია მოიწვიოს ან არ მოიწვიოს სხდომაზე მოსამართლე, ვის მიმართაც მიმდინარეობს დისციპლინური სამართალწარმოება.

52. კანონპროექტის 35-ე მუხლის პირველი პუნქტი არეგულირებს სადისციპლინო კოლეგიის წევრის ან კოლეგიის მთელი შემადგენლობის აცილების პროცედურას, დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემული მოსამართლის ან დისციპლინურ პასუხისგებაში მიმცემი ორგანოს წარმომადგენლის მიერ. თუმცა, ნორმა არ მიუთითებს აცილების საფუძვლებზე (მაგ.: სადისციპლინო კოლეგიის წევრის თვითაცილების საფუძვლები, რაც მითითებულია კანონის 34(1) და კანონპროექტის 34(2) მუხლებში, როგორც არის: ისეთი გარემოების არსებობა, რომელიც ხელს შეუშლის კოლეგიის წევრს საქმის დამოუკიდებლად და მიუკერძოებლად განხილვაში; ან თუ მის მიერ ან მისი მონაწილეობით გამოტანილი სასამართლოს განჩინება, დადგენილება, კერძო განჩინება, სადისციპლინო კოლეგიის წარდგინება ანდა მისი მოხსენებითი ბარათი საფუძვლად დაედო მოსამართლის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრას). ამასთან, ნორმა არ შეიცავს მითითებას რომელიმე სხვა საპროცესო კოდექსზე ან საპროცესო სტანდარტებზე. რეკომენდებულია, 35-ე მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს მითითება სადისციპლინო კოლეგიის წევრის თვითაცილების საფუძვლებზე, რაც გადმოცემულია 34-ე მუხლის პირველ და მეორე პუნქტებში.

53. დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ კანონის 42-ე მუხლის მე-2 პუნქტი უფლებამოსილებას ანიჭებს დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემულ მოსამართლეს, საქმის განხილვის დაწყებამდე სრულად აღიაროს დისციპლინური ბრალდება და სთხოვოს სადისციპლინო კოლეგიას დისციპლინური საქმის არსებითი განხილვის გარეშე მიიღოს გადანყვეტილება მისი ბრალეულად ცნობის და მისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობისა და სახდელის დაკისრების შესახებ. დისციპლინური სამართალწარმოების მნიშვნელოვანი ნაწილი იუსტიციის უმაღლესი საბჭოში მიმდინარეობს; ამდენად, მოსალოდნელია, რომ დისციპლინური ბრალდების აღიარება მოხდეს ჯერ კიდევ იუსტიციის უმაღლეს საბჭოში, საქმის სადისციპლინო კოლეგიისთვის გადაცემამდე. რეკომენდებულია,

CDL-AD(2014)032

რომ კანონპროექტმა გაითვალისწინოს და მოაწესრიგოს ეს საკითხიც და განმარტოს მისი სამართლებრივი შედეგები, იუსტიციის საბჭოში სამართალწარმოების ეტაპზე. მნიშვნელოვანია უზრუნველყოფა იმისა, რომ არ მოხდეს მოსამართლეთა იძულება აღიარონ ბრალდება.

H. დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტა

54. რეკომენდებულია, რომ თავიდანვე დაზუსტდეს დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტასთან დაკავშირებული ტერმინების გამოყენება. კერძოდ, დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტა კანონპროექტის მე-14 მუხლით გათვალისწინებული შესაბამისი საფუძვლების არსებობისას უნდა განსხვავდებოდეს იმ ტერმინისაგან, რომელიც გამოიყენება მე-9 მუხლით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შეფასების კონტექსტში.

1. სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება (კანონპროექტის მე-14 (გ), 37.2 და 49(დ) მუხლები)

55. კანონის 37(2)-ე მუხლის პროექტი ითვალისწინებს დისციპლინური საქმის წარმოების შეჩერებას, თუ დისციპლინური საქმის მასალების მიხედვით მოსამართლის ქმედებაში დანაშაულის ნიშნების არსებობა აშკარაა. ასეთ შემთხვევაში, სადისციპლინო კოლეგია საქმის მასალებს უგზავნის შესაბამის ორგანოს და ამის შესახებ აცნობებს მოსამართლეს, რომლის მიმართაც აღძრულია დისციპლინური დევნა. დისციპლინური საქმის მასალების საფუძველზე სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებას არეგულირებს მე-14 მუხლის „გ“ და 49-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტები; ორივე შემთხვევაში, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის საფუძველია როგორც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს, ისე სადისციპლინო კოლეგიისთვის. მე-14 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, იუსტიციის უმაღლესი საბჭო მოსამართლის მიმართ დისციპლინურ სამართალწარმოებას წყვეტს, თუ გაგზავნილი მასალის საფუძველზე მოსამართლის მიმართ დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა. 49-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტშიც, რომელიც სადისციპლინო კოლეგიის მიერ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტას არეგულირებს, იგივე ფორმულირებაა გამოყენებული. ამასთან, სადისციპლინო კოლეგია ასევე წყვეტს დისციპლინურ სამართალწარმოებას, თუ სისხლისსამართლებრივი დევნა არ დაიწყო მოსამართლის ბრალის ან იმ ფაქტების დაუდასტურებლობის გამო, რომლებიც საფუძველად დაედო დისციპლინურ ბრალდებას (49-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტი).

56. სისხლისსამართლებრივი და დისციპლინური პასუხისმგებლობის განსხვავებული ბუნება, რომელთაც განსხვავებული შემადგენლობა აქვთ და მტკიცების განსხვავებულ სტანდარტს მოითხოვენ, სულაც არ ნიშნავს, რომ ისინი ერთიმეორეს გამორიცხავენ. დისციპლინური სანქცია შესაძლოა გამოყენებული იქნას სისხლის სამართლის საქმეში გამართლების შემთხვევაშიც. ამასთან, ის ფაქტი, რომ სისხლისსამართლებრივი დევნა არ დაიწყო მოსამართლის ბრალის ან

CDL-AD(2014)032

იმ ფაქტების დაუდასტურებლობის გამო, რომელიც საფუძვლად დაედო დისციპლინურ ბრალდებას, არ ნიშნავს, რომ მოსამართლეს არ ჩაუდენია დისციპლინური სამართალდარღვევა, სწორედ ამ ორი სხვადასხვა პასუხისმგებლობის განსხვავებული ბუნებიდან გამომდინარე. თუ მოსამართლის მიერ ჩადენილ დისციპლინურ დარღვევას შეუძლია შეარყიოს საზოგადოების ნდობა სასამართლო ხელისუფლებისადმი, მაშინ, თვით სასამართლო ხელისუფლების ინტერესებშია განახორციელოს დისციპლინური დევნა. აღსანიშნავია, რომ სისხლის სამართალწარმოების პროცესში, არავითარი მნიშვნელობა არ აქვს კონკრეტული ქცევის დისციპლინურ მხარეს. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია მხოლოდ სისხლისსამართლებრივი ბრალეულობის საკითხი.

57. ვენეციის კომისიისთვის გასაგებია საქართველოს ხელისუფლების სიფრთხილე *ne bis in idem* პრინციპთან დაკავშირებით, რითაც აიხსნება დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტა იმავე ქმედებისთვის სისხლისსამართლებრივი დევნის დანების შემთხვევაში. თუმცა, საჭიროა შემდეგი რეკომენდაციების და მოსაზრების გათვალისწინება:

58. პრინციპი *ne bis in idem* კრძალავს ერთი და იგივე დანაშაულისთვის ორჯერ გასამართლებას და დასჯას ორი ცალკე სისხლისსამართლებრივი დევნის ფარგლებში (აღამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-7 ოქმის მე-4 მუხლი). ეს ნორმა არ გამოირიცხავს ერთი და იგივე ქმედებისთვის პარალელურად სისხლისსამართლებრივ და დისციპლინურ დევნას. თუმცა, ეროვნულ კანონმდებლობაში პროცედურის სამართლებრივი კატეგორიზაცია არ არის ერთადერთი კრიტერიუმი, რომელსაც ევროპული სასამართლო ითვალისწინებს აღნიშნული საკითხის გადასაწყვეტად. ევროპული სასამართლო ასევე მხედველობაში იღებს ქმედების სახეს ან სანქციის სიმძიმეს, რათა დაადგინოს, ხომ არ აქვს პროცედურას, რომელიც ეროვნული კანონმდებლობით მიიჩნევა „დისციპლინურ“ სამართალწარმოებად, რეალურად სისხლის სამართლებრივი დევნის შინაარსი, როგორც ამას განმარტავს ევროპული კონვენცია. შესაბამისად, ასეთ შემთხვევაზე გავრცელდება ევროპული კონვენციის მე-7 ოქმის მე-4 მუხლი (*ne bis in idem*).

59. უპირველეს ყოვლისა, ევროსასამართლოს პრეცედენტული სამართლის შესაბამისად, პრინციპი *ne bis in idem* კრძალავს „იგივე ქმედებისთვის“ განმეორებით გასამართლებას, რომელიც დაფუძნებულია „იდენტურ ფაქტებზე ან არსებითად ერთი და იგივე ფაქტებზე“¹⁵. მე-14(2), 37(2)-ე და 49(2)-ე მუხლების პროექტში საუბარია „სისხლისსამართლებრივი დევნის დანების დისციპლინური საქმის მასალების საფუძველზე“, რაც საკმაოდ ბუნდოვანი ფორმულირებაა იმისათვის, რომ გაგებულ იქნას, როგორც „ერთი და იგივე სამართალდარღვევა, რომელიც ემყარება იდენტურ ფაქტობრივ გარემოებებს“. რეკომენდებულია მუხლის პროექტში შევიდეს ცვლილება და ფრაზა „დისციპლინური საქმის მასალების საფუძველზე“ ევროპული სასამართლოს მიერ დამკვიდრებული ფორმულირების

¹⁵ აღამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, ზოლოტუხინი რუსეთის წინააღმდეგ ([GC], no. 14939/03, 2009 წლის 10 თებერვალი, პუნქტი 82.

CDL-AD(2014)032

შესაბამისად შეიცვალოს ფრაზით - „ერთი და იგივე სამართალდარღვევა, რაც ემყარება იდენტურ ფაქტობრივ გარემოებებს“.

60. ნორმის პროექტის თანახმად, როცა დისციპლინური სამართალწარმოების მასალებზე დაყრდნობით სისხლისსამართლებრივი დევნა იწყება, სადისციპლინო კოლეგია და იუსტიციის საბჭო ვალდებული არიან შეწყვიტონ დისციპლინური სამართალწარმოება (მე-14 (გ) და 49 (დ) მუხლების პროექტი). როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სისხლის სამართლებრივ და დისციპლინურ პასუხისმგებლობას განსხვავებული ბუნება და მიზნები აქვთ, მტკიცების სხვადასხვა სტანდარტს ექვემდებარებიან, ქმედების განსხვავებული შემადგენლობა ახასიათებთ და არ გამოირიცხავენ ერთმანეთს. შესაბამისად, ვენეციის კომისიისა და ღირექტორატის შეხედულებით, დისციპლინური ორგანოები, როგორც არის სადისციპლინო კოლეგია და იუსტიციის საბჭო, არ უნდა იყვნენ ვალდებული შეწყვიტონ დისციპლინური სამართალწარმოება, როცა იგივე ქმედებისთვის იწყება სისხლისსამართლებრივი დევნა. *ne bis in idem* პრინციპის დარღვევის თავიდან აცილების მიზნით, ამ ორგანოებს უნდა ჰქონდეთ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესაძლებლობა და არა ვალდებულება, თუ მიიჩნევენ, რომ დისციპლინურ საქმეს რეალურად აქვს სისხლისსამართლებრივი ბუნება (მათთვის სახელმძღვანელო კრიტერიუმები იქნება სამართალდარღვევის სახე და მოსალოდნელი დისციპლინური სახდელის სიმძიმე, ევროპული სასამართლოს პრაქტიკის შესაბამისად). იგივე უნდა გავრცელდეს 37(2)-ე მუხლის პროექტით გათვალისწინებული, დისციპლინური სამართალწარმოების შეჩერების მიმართ. თუ ქმედება, რომელზეც დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა, არ არის იგივე ქმედება, რომელიც ემყარება იდენტურ ფაქტობრივ გარემოებებს, ან თუ დისციპლინურ სამართალწარმოებას არ აქვს სისხლისსამართალწარმოების ნიშნები, არ არსებობს დისციპლინური სამართალწარმოების მასალებზე დაყრდნობით სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების გამო დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის რაიმე მიზეზი.

2. დისციპლინური ბრალდების მოხსნა (42.1 მუხლის პროექტი)

61. 42-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარმომადგენელს უფლება აქვს, დისციპლინური საქმის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე (კოლეგიის სათათბირო ოთახში გასვლამდე) მოხსნას მოსამართლისათვის წაყენებული დისციპლინური ბრალდება. ამ შემთხვევაში, სადისციპლინო კოლეგია ვალდებულია, განხილვის ეტაპის მიუხედავად, შეწყვიტოს საქმის განხილვა და, შესაბამისად, დისციპლინური საქმე. პირველ რიგში აღსანიშნავია, რომ კანონპროექტის მიხედვით იუსტიციის საბჭოს აქვს დიდი უფლებამოსილება მთელი პროცესის განმავლობაში. ამასთან, კანონპროექტით გაურკვეველია იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარმომადგენლის უფლებამოსილების ფარგლები. ვინაიდან მოსამართლის დისციპლინურ პასუხისმგებაში მიცემის გადაწყვეტილებას იუსტიციის საბჭო იღებს, და თანაც ნევრთა 2/3-ის უმრავლესობით, წარმომადგენელი არ უნდა იყოს უფლებამოსილი ერთპიროვნულად მოხსნას ბრალდება იუსტიციის საბჭოს მიერ კენჭისყრის გარეშე.

62. მინისტრთა კომიტეტის CM/Rec(2010)12 რეკომენდაციის 28-ე პუნქტი აცხადებს, რომ იუსტიციის საბჭომ მოსამართლეებისა და საზოგადოების მიმართ უნდა გამოავლინოს გამჭვირვალობის უმაღლესი სტანდარტი, წინასწარ განსაზღვრული პროცედურების დადგენისა და საკუთარი გადაწყვეტილებების დასაბუთების გზით. შესაბამისად, წარმომადგენელს, სულ მცირე, უნდა მოეთხოვებოდეს წარმოადგინოს ბრალდების მოხსნის მიზეზები არა მხოლოდ კანონის სიცხადის პრინციპიდან გამომდინარე, არამედ შესაბამისი მოსამართლის პროფესიული და პირადი რეპუტაციის დაცვის მოთხოვნიდან გამომდინარე.

3. ვადის ამოწურვა (14 („ბ“) და 36(2) მუხლების პროექტი)

63. თუ მოსამართლის დისციპლინურ პასუხისმგებებაში მიცემის ან მისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობისა და სახდელის დაკისრების ვადა ამოიწურა, იუსტიციის უმაღლესი საბჭო (14 (ბ) მუხლის პროექტი) ან სადისციპლინო კოლეგია (36(2)-ე მუხლის პროექტი) წყვეტს დისციპლინურ სამართალწარმოებას. რეკომენდებულია შეწყვეტა მოხდეს მხოლოდ მაშინ, თუ გაჭიანურების მიზეზი არ არის თავად ის მოსამართლე, რომლის მიმართაც მიმდინარეობს დისციპლინური დევნა. სხვა შემთხვევაში, მოსამართლეს ექნება შესაძლებლობა გააჭიანუროს სამართალწარმოება პასუხისმგებლობისთვის თავის არიდების მიზნით. მაგალითად, კანონის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე შუამდგომლობის დაყენებით და მოთხოვნით, რომ მას დამატებით ჩამოართვან ახსნა-განმარტება.

4. სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილება

64. 56-ე მუხლის პირველი პუნქტის პროექტი ძალზედ მისასალმებელია, ვინაიდან ის აწესებს მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლებისთვის გაცილებით უფრო მაღალ სტანდარტს, აცხადებს რა ამ დისციპლინურ სახდელს „უკიდურეს ღონისძიებად“, რომლის გამოყენება უნდა მოხდეს „განსაკუთრებულ შემთხვევებში“. ეს მიდგომა შეესაბამება პროპორციულობის პრინციპს. თუმცა, ფრაზა - „განსაკუთრებულ შემთხვევებში“ ბუნდოვანია და მისი გაგება უნდა მოხდეს მოქმედი კანონის 54-ე მუხლის პირველ პუნქტთან (რომელიც აღგენს დისციპლინური საქმეების გადაწყვეტის სახელმძღვანელო პრინციპებს (მაგ. მოსამართლის საქმიანობაში ჩაურევლობა) და ამასთან დაკავშირებით წინამდებარე დასკვნაში გამოთქმულ მოსაზრებებთან ერთობლიობაში. დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ კანონის მე-2(2) მუხლში, დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველების თაობაზე გამოყენებული ზოგიერთი ფრაზის ბუნდოვანება, როგორცაა, მაგალითად, „მოსამართლის თანამდებობასთან შეუთავსებელი საქმიანობა“ (იხ. წინამდებარე დასკვნის „გ“ ნაწილი - დისციპლინური სამართალწარმოების საფუძველები), კიდევ უფრო დიდ მნიშვნელობას სძენს 56-ე მუხლის პირველი პუნქტით მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლებისთვის დაწესებულ ახალ სტანდარტს.

CDL-AD(2014)032

65. 85-ე მუხლის პირველი პუნქტის პროექტი შეზღუდვას აწესებს იმ მოსამართლის დანიშნულებაზე, ვინც მიცემულია დისციპლინურ პასუხისმგებებაში. ეს მიდგომა მისასაღმებელია, ვინაიდან დანიშნულებული მოსამართლე შესაძლოა მოგვიანებით სცნონ დამნაშავედ დისციპლინური გადაცდომის ჩადენაში, რომლის გამო მას ბრალი დაედო ჯერ კიდევ დანიშნულების პროცესში. მეორეს მხრივ, დისციპლინური სამართალწარმოება მკაცრად დადგენილ ვადებში მიმდინარეობს (მაგ. მე-60(2) მუხლის პროექტი), ასე რომ, ნორმის შემოთავაზებული პროექტი დიდ ტვირთად არ უნდა დააწვეს მოსამართლეებს, რომლებიც დანიშნულებას ელიან. რეკომენდებულია კანონპროექტში ნათლად ჩაიწეროს, რომ დისციპლინური სამართალწარმოების დასრულება ავტომატურად ხსნის შეზღუდვას მოსამართლის დანიშნულებასთან დაკავშირებით.

I. საჩივარი (კანონის 60(1) და 60(2) და (3) მუხლების პროექტი)

66. მე-60(3) მუხლის თანახმად, იუსტიციის უმაღლესი საბჭო, სრული შემადგენლობის 2/3-ის გადაწყვეტილებით, უფლებამოსილია, წარმომადგენლის მეშვეობით, უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატაში გაასაჩივროს სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილება. როგორც ზემოთ აღინიშნა, ეს ხმათა ძალიან მაღალი მოთხოვნაა. ქმედითი დისციპლინური სამართალწარმოების სისტემის დანერგვის მიზნით, იუსტიციის საბჭო დისციპლინურ საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილებებს უბრალო უმრავლესობით უნდა იღებდეს.

67. მე-60(2) მუხლის პროექტის მიხედვით, სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილების გასაჩივრება ისევ სადისციპლინო კოლეგიაში ხდება. თუმცა, ეს ალბათ თარგმანის ხარვეზია, ვინაიდან ამავე პროექტის თანახმად, სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილების გასაჩივრება ხდება უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატაში (მე-60(1) მუხლი).

J. დამატებითი საკითხები

68. რეკომენდებულია მოქმედი კანონის მე-9(3) მუხლის გადახედვა, რომელიც არ იცვლება განსახილველი კანონპროექტით. აუცილებელია ამ ნორმის შესწორება, რამეთუ ის აშკარად შეუსაბამოა ამავე მუხლის პირველი პუნქტის ახალ რედაქციასთან, რომელიც კანონპროექტით არის შემოთავაზებული. მაგალითად, მე-9(3) მუხლის თანახმად, მოსამართლისთვის ახსნა-განმარტების ჩამორთმევის უფლებამოსილება აქვს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანს, მაშინ როცა მე-9(1) მუხლის პროექტის თანახმად, ეს საკითხი თავად იუსტიციის საბჭოს კომპეტენციას განეკუთვნება.

69. მოქმედი კანონის 77-ე მუხლის თანახმად, მოსამართლის თანამდებობიდან განთავისუფლების, როგორც დისციპლინური სახდელის დაკისრებისას, სადისციპლინო კოლეგია ან სადისციპლინო პალატა კანონიერ ძალაში შესულ

CDL-AD(2014)032

თავის გადანყვეტილებას აღსასრულებლად წარუდგენს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს. თუმცა მე-80(2) მუხლის თანახმად, იუსტიციის უმაღლესი საბჭო „განიხილავს“ სადისციპლინო კოლეგიის ან სადისციპლინო პალატის კანონიერ ძალაში შესულ გადანყვეტილებას მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ, სადისციპლინო კოლეგიის ან სადისციპლინო პალატის „რეკომენდაციის საფუძველზე“ [მთარგმნელის შენიშვნა - კანონის ტექსტში არსებული სიტყვა „წარდგინება“ ინგლისურად თარგმნილია, როგორც „რეკომენდაცია“]. მე-80 მუხლის ფორმულირება ეჭვს აჩენს იუსტიციის საბჭოსთვის მოსამართლის გათავისუფლების თაობაზე სადისციპლინო კოლეგიის გადანყვეტილების სავალდებულო ხასიათთან დაკავშირებით. ამ ფორმულირებიდან გამომდინარეობს, რომ კოლეგიის ან პალატის რეკომენდაციის საფუძველზე იუსტიციის საბჭომ გათავისუფლების თაობაზე შესაბამისი გადანყვეტილება უნდა მიიღოს. ეს ეწინააღმდეგება კოლეგიისა და პალატის გადანყვეტილებების ბუნებას, კერძოდ, იმდენად, რამდენადაც 56-ე მუხლის პირველი პუნქტი ნათლად აცხადებს, რომ „სადისციპლინო კოლეგია მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ გადანყვეტილებას იღებს“. რეკომენდებულია მე-80 მუხლის ცვლილება იმგვარად, რომ ცხადი გახდეს, რომ სადისციპლინო კოლეგიის ან სადისციპლინო პალატის გადანყვეტილება მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ სავალდებულოა იუსტიციის უმაღლესი საბჭოსთვის.

VI. დასკვნა

70. მისასაღმებელია საქართველოს ხელისუფლების ძალისხმევა არსებული საკანონმდებლო ბაზის გაუმჯობესებისა და სასამართლოს დამოუკიდებლობის უფრო მაღალი სტანდარტის დამკვიდრებისთვის. განსახილველი კანონპროექტი აუმჯობესებს დისციპლინური სამართალწარმოების პროცესს, ქმნის რა დამატებით გარანტიებს მოსამართლეთა უფლებების დაცვისთვის და ხდის რა აღნიშნულ პროცედურას უფრო გამჭვირვალეს.

71. კანონპროექტის საფუძველზე, იუსტიციის უმაღლესი საბჭო იქნება ერთადერთი უფლებამოსილი ორგანო, მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების უფლებით, რაც წინ გადადგმული ნაბიჯია მოსამართლეთა დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის პროცესში. ამასთან დაკავშირებით, მისასაღმებელია სასამართლოს თავმჯდომარეებისთვის დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების უფლებამოსილების ჩამორთმევა. აგრეთვე, ის ფაქტი, რომ შემოთავაზებული სისტემა ცალსახად მიჯნავს საგამოძიებო (იუსტიციის საბჭო) და დისციპლინური ზომების შეფარდებაზე უფლებამოსილი (სადისციპლინო კოლეგია) ორგანოების ფუნქციებს, შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს.

72. ამასთან, ვენეციის კომისიასა და ღირექტორატს, წინამდებარე დასკვნაში მოცემული მოსაზრებების გათვალისწინებით, მიაჩნია, რომ საჭიროა დამატებითი მუშაობა შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

- იუსტიციის საბჭოს უფლებამოსილება მოსამართლის მიმართოს კერძო სარეკომენდაციო ბარათით, როგორც დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიება, უნდა გაუქმდეს, ხოლო თუ მაინც შენარჩუნდა, უნდა შეიზღუდოს მოსამართლისთვის „რეკომენდაციების ჩამონათვალის“ გაგზავნით.
- იუსტიციის საბჭოს მიერ დისციპლინური სამართალწარმოების ყველა საკითხზე გადაწყვეტილების მისაღებად დანესებული ხმათა 2/3-ის უმრავლესობა ზედმეტად მაღალი მოთხოვნაა. დისციპლინური სამართალწარმოების უფრო ქმედითი სისტემის დასამკვიდრებლად, საჭიროა, ეს მოთხოვნა შეიცვალოს უბრალო უმრავლესობით.
- საჭიროა დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლების უფრო ნათლად ფორმულირება ისევე, როგორც საპროცესო გარანტიების გაზრდა, ევროკონვენციით გარანტირებული სამართლიანი სასამართლოს უფლებისა და ევროსასამართლოს შესაბამისი პრაქტიკის გათვალისწინებით. სხდომათა საჯაროობა უნდა იყოს ზოგადი წესი და არა გამონაკლისი.
- დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის მოთხოვნა, დისციპლინური საქმის მასალების საუძველზე სისხლისსამართლებრივი დევნის დანყების შემთხვევაში, შესაცვლელია იმგვარად, რომ იუსტიციის საბჭოს ჰქონდეს შესაძლებლობა გადაწყვეტილება კონკრეტული შემთხვევის გათვალისწინებით მიიღოს.

73. ვენეციის კომისია და დირექტორატი საქართველოს ხელისუფლების განკარგულებაში არიან აღნიშნულ და სხვა საკითხებზე დამატებითი დახმარების საჭიროების შემთხვევაში.